ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2397847

ნომერი: AR1367851

თარიღი : 30.12.2015

გაცემის თარიღი : 26.01.2016

გაცნობის თარიღი : 26.01.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო იაშვილი პ/ნ 01006016553
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 9ა ბ. 14

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნინო იაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006016553

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლაშა ალავიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზ. N18–ში (უძრავი ძეგლი) სარეკლამო აბრის მოწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ არ იქნა სრულად გამოსწორებული სამსახურის 18.01.2016 წლის №2391027 გადაწყვეტილებებით დადგენილი ხარვეზები, კერძოდ:

1. განმცხადებლის/დამკვეთის შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი. აქვე გაცნობებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მაძიებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ძეგლის მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
2. სიტუაციური ან გენგეგმა საპროექტო ადგილის ჩვენებით და პროექტის განმარტებითი ბარათი. ამასთან, ნახაზებზე არ არის ნაჩვენები აბრის სისქე. ტროტუარის სიგანე და თავისუფალი გასასვლელის სიგანე ფოტომონტაჟსა და ნახაზებზე მოყვანილი იქნეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
3. საერთო საკუთრების ღობეზე რეკლამის მოწყობასთან დაკავშირებით საჭიროა თანამესაკუთრის (საჯარო რეესტრის 23.10.2015წ. N 882015601768 ამონაწერის შესაბამისად ი.ბ.ა. "777" და სს "პროკრედიტ ბანკი") თანხობის წარმოდგენა. განმარტება:
სამსახურში წარმოდგენილი 2013 წლის 20 თებერვლის დამფუძნებელთა კრების ოქმის თანახმად, II კომერციული სექტორის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დავით ჯოხაძე. მეორე სექტორის ფართია 2527 კვ.მ და მოიცავს შემდეგ შენობა–ნაგებობებს: #1 შენობის ნაწილს, კერძოდ 1050.91 კვ.მ., #7 შენობის ნაწილს, #2, #8 შენობებს სრულად. ამასთან, 2013 წლის 20 თებერვლის დამფუძნებელთა კრების ოქმით ცვლილება შევიდა 2005 წლის 19 აპრილის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულებაში, რომლის შედეგად 6.3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამხანაგობას ხელმძღვანელობენ თავმჯდომარეები: მაია ყიფშიძე, დავით ჯოხაძე და ლევან ბურჯანაძე, რომლებიც წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში. დავით ჯოხაძე ხელმძღვანელობს მეორე კომერციულ სექტორს. შესაბამისად, თუ საერთო საკუთრების ღობეზე ეწყობა რეკლამა, მაშინ წარმოდგენილი კრების ოქმით მისაღები არ არის დავით ჯოხაძის მიერ გაცემული თანხმობა. წარმოდგენილ იქნას სამივე თავმჯდომარის მიერ გაცემული თანხმობა. ამასთან, 2015 წლის 01 აგვისტოს იჯარის ხელშეკრულება 4.1 პუნქტის მიხედვით, დადებულია 2015 წლის პირველი აგვისტოდან 2020 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით, ამიტომ საჭიროა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღნიშნული ხელშეკრულება დადებულია შპს მედპართან, რომლის საფირმო სახელწოდება დღევანდელი მდგომარეობით არის შპს სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტი. ამასთან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #B15213626; მომზადების თარიღი: 03/11/2015 წ.; ს/კ: #404498021) თანახმად, შპს სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტის დირექტორია ნორა კოკაია. ამიტომ თანაგანმცხადებლად იქნას რეგისტრირებული შპს–ს დირექტორი (ასევე დირექტორი და ორგანიზაცია მითითებული იქნეს დამკვეთის გრაფებში) ან წარმოდგენილ იქნას მის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას, ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზ. N18–ში (უძრავი ძეგლი) სარეკლამო აბრის მოწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახურის მიერ საკითხი განმეორებით იქნება განხილული.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.